ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 86

26 ივნისი 2020 წ. ქ.თბილისი,თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

სხდომა ჩატარდა ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიასთან ერთად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია.
კომისიის წევრები: ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე, ვახტანგ შაქარიშვილი.

მოწვეული სტუმრები:

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური: გაიოზ თალაკვაძე
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური- დავით ჯაიანი.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას უძღვება ოთარ გრიგოლია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი.
1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „სატრანსპორტო კომპანიას“ შორის „თბილისის მეტროს პროექტთან“ დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოსაწერად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ.

12-032016481-03

2. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი (№11-0120171281;11-01201743799;11-01201762542;11-01201772656) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ. (№15-032017126-03;15-032017499-03;15-0320176173-03;15-0320177102-03)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „სატრანსპორტო კომპანიას“ შორის „თბილისის მეტროს პროექტთან“ დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოსაწერად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ.

საკითხი წარმოადგინა დავით ჯაიანმა.

დავით ჯაიანმა აღნიშნა, რომ საქართველოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, შპს „სატრანსპორტო კომპანიასა“ და ევროპის რეკონსტრუქციის განვითარების ბანკს (EBFD) შორის, „თბილისის მეტროს პროეტთან“ დაკავშირებით 2020 წლის 29 აპრილს ხელი მოეწერა პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებას სასესხო შეთანხმებას 75 მლნ ევროზე. პროექტი ითვალისწინებს თბილისის მეტროპოლიტენის მოძრავი შემადგენლობის შეძენას, მეტროს დეპოს მშენებლობა-რეკონსტრუქციას და შემაერთებელი გვირაბის რეაბილიტაციას.

კომისიის წევრების ოთარ გრიგოლიას, რამინა ბერძის, ვახტანგ შაქარიშვილის და დავით უთმელოძის შეკითხვებზე, დავით ჯაიანმა დაწვრილებით განმარტა პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ. კითხვაზე თუ ვინ შეასრულებს აღნიშნულ სამუშაოებს, მან აღნიშნა, რომ შემუშავდება სატენდერო პირობები და გამოვლინდება ტენდერში გამარჯვებული. სულ დაგეგმილია 10 მოძრავი შემადგენლობის შეძენა. 75 მლნ-იდან, 15 მლნ უშუალოდ გვირაბის რეაბილიტაციისთვის არის გათვალისწინებული. პროექტის ხანგრძლივობა გაგრძელდება დაახლოებით 2 წელი. კითხვაზე- გასულია თუ არა ექსკავატორების საესპლუატაციო ვადა, დავით ჯაინმა აღნიშნა, რომ ეს ნაწილი პროექტში გათვალისწინებული არ არის.

მომხრე -6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი (№11-0120171281;11-01201743799;11-01201762542;11-01201772656) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ. (№15-032017126-03;15-032017499-03;15-0320176173-03;15-0320177102-03)

გაიოზ თალაკვაძემ დაწვრილებით ისაუბრა წარმოდგენილ კვარტალურ ცვლილებებზე. ვაკის, ნაძალადევის, ჩუღურეთის, გლდანის, მთაწმინდის, სამგორის რაიონული გამგეობები ითხოვენ „გზების მოვლა-შეკეთების“, „კეთილმოწყობის ღონისძიებების“, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების“ და „სხვა სოციალური დახმარების“ პროგრამებში კვარტალურ ცვლილებებს. საერთო ჯამში ხდება 5019405 ლარის გადატანა პირველი და მეორე კვარტლიდან მომდევნო კვარტლებში.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კვარტალური ცვლილებების გამჭირვალობასთან დაკავშირებით წარმოდგენილი წერილები, სადაც მოთხოვნილი ცვლილებების მიზეზებია ასახული, წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ როდესაც ხდება რომელიმე პროექტის ამოღება და სხვა პროექტით ჩანაცვლება, ხომ არ აჯობებს თავიდანვე სწორად დაიგეგმოს განსახორციელებელი პროექტები. გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ „ფორსმაჟორის“ გამო რაღაც პროექტი ვერ სრულდება და ხდება სხვა პროექტით ჩანაცვლება.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ, საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე -6

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ“, სადაც თბილისის მუნიციპალიტეტის საქალაქო სამსახურები და რაიონული გამგეობები ითხოვენ მისთვის

მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად **მიეცეს თანხმობა დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.**

სხდომა გამოცადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლია